დემოკრატიის მე-7 ყოველწლიური კონფერენცია

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

#GEODEM 2022

პარტიული დემოკრატიის გამოწვევები საქართველოში: კონსენსუსის პერსპექტივები გახანგრძლივებული კრიზისის პერიოდში

მაისი - ივნისი | 2022

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

კონფერენციის ანგარიში N3

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს“ და "ფრიდრიხ ებერტის ფონდის, სამხრეთ კავკასიის ოფისის" მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“, „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოსა“ და "ფრიდრიხ ებერტის ფონდის, სამხრეთ კავკასიის ოფისის" შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

დემოკრატიის მე-7 ყოველწლიური კონფერენცია (#GEODEM), "პარტიული დემოკრატიის გამოწვევები საქართველოში: კონსენსუსის პერსპექტივები გახანგრძლივებული კრიზისის პერიოდში", კონფერენციის ანგარიში N3, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), მაისი-ივნისი, 2022.

© Georgian Institute of Politics, 2022
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge

მოკლე შინაარსი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველო ღრმა და გაჭიანურებულ პოლიტიკურ კრიზისშია. გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნულ კრიზისს შესაძლოა დამაზიანებელი შედეგები ჰქონდეს როგორც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე, ასევე, მისი ევრო-ატლანტიკურ მომავალზე. მაშინ, როდესაც მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები ქმნის შესაძლებლობათა ფანჯარას საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინისათვის, რომ მათ კიდევ უფრო გააძლიერონ ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა, საქართველოს შემთხვევაში დემოკრატიზაციის პრინციპებისადმი ერთგულება და ამ მიზნით, დეპოლარიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც შეუძლიათ, შეამცირონ პოლარიზაცია და ერთმანეთთან თანამშრომლობის გზით ხელი შეუწყონ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის განმტკიცებას. თუმცა, დღესდღეობით ვერც მმართველი პარტია და ვერც ოპოზიციური პარტიები ვერ ახერხებენ, ამომრჩეველს პოზიტიური დღის წესრიგი შესთავაზონ. მნიშვნელოვან საკითხებზე დაფუძნებული დისკუსიებისა და ქვეყნის განვითარების არგუმენტირებული ხედვის წარმოდგენის ნაცვლად, წინასაარჩევნო კამპანიები ხშირად ფოკუსირებულია სკანდალებზე და ნეგატიურ მოვლენებზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პოლიტიკური კულტურის განვითარებასა და მის მდგრადობაზე. პოლიტიკური ველის ორპოლუსიანი რადიკალური პოლარიზაცია, ასევე, მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს პარტიათა შორის თანამშრომლობის პერსპექტივისთვის, აიძულებს რა მცირე პოლიტიკურ პარტიებს, „აირჩიონ რომელიმე მხარე“.

მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც გასათვალისწინებელია, არის ის, რომ მიუხედავად პოლიტიკური ველის პოლარიზაციისა, ყოველწლიურად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს კოალიციური მმართველობის იდეას და თვლის, რომ ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული დემოკრატიის შემდგომი კონსოლიდაციისთვის. ეს ფაქტები მიუთითებს, რომ

მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა პოლიტიკური პარტიების ამბიციებსა და ამომრჩეველთა სურვილებს შორის. ამიტომ, როგორც ფართო საზოგადოებამ, ასევე პოლიტიკურმა კლასმა უნდა დაიწყოს ფიქრი ამ გამოწვევების დაძლევისა და პოლიტიკურ პარტიებსა და ქართულ საზოგადოებას შორის ნდობისა და კავშირების აღდგენის გზებზე.

სწორედ აღნიშნული საკითხები წარმოადგენდა დემოკრატიის მე-7 ყოველწლიური კონფერენციის პანელების საკვანძო თემებს. კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო სამი თემატური პანელი, გახსნა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა **კორნელი კაკაჩიამ**. შესავალ სიტყვაში პროფესორმა **კაკაჩიამ** ხაზი გაუსვა პარტიებს შორის და, ასევე, მათი ამომრჩევლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის აუცილებლობას და აღნიშნა, რომ ამისთვის სხვადასხვა ახალი გზებია მოსაძიებელი. კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვა აგრეთვე წარმოთქვა შვეიცარიის კონფედერაციის ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა **ჰაიდი გრაუმ,** რომელმაც ისაუბრა საქართველოს დემოკრატიული დღის წესრიგზე და შინაარსზე ორიენტირებული პოლიტიკური დისკუსიის აუცილებლობაზე. მან მწუხარებით აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში პოლიტიკური დისკუსიის ტონი საკმაოდ დესტრუქციული ხასიათისაა, რაც მოიცავს პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმას, რისი გამოსწორებაც აუცილებელია. მან პარალელები გაავლო შვეიცარიულ პოლიტიკურ სისტემასთან და აღწერა, თუ რამდენად არის იქ პოლიტიკური კლასი ხიდების გაბმაზე ორიენტირებული იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიონ. მან ასევე ისაუბრა მედიის როლზე და აღნიშნა, რომ მედიის თავისუფლება და ამავდროულად მოსახლეობამდე ობიექტური ინფორმაციის მიტანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ხალხს ელექტორალურადაც ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალები მიეცეს.

კონფერენციის პირველი პანელი მიზნად ისახავდა *კოალიციური თანამშრომლობისთვის ქართული პოლიტიკური პარტიების მზაობის* განხილვას. პანელზე მოხსენებით წარსდგენენ დოქტ. **ფერნანდო კასალ ბერტოა** (ნოტინგემის უნივერსიტეტი), **გიორგი ვაშაძე** (პარტია, სტრატეგია აღმაშენებელი), **ნათია მეზვრიშვილი** (პარტია, გახარია- საქართველოსთვის), დისკუსიას კი მოდერაციას უწევდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და კონრად ადენაუერის ფონდის პროექტის მენეჯერი, პროფ. **დავით აფრასიძე**. მეორე პანელი *შიდაპარტიული დემოკრატიისა და ახალი პოლიტიკური ლიდერების შესახებ* დისკუსიას

დაეთმო. აღნიშნულ პანელზე მოხსენებით წარსდგნენ **დავით ბერძენიშვილი** (რესპუბლიკური პარტია), **თეონა ზურაბაშვილი** (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი), **დავით შერვაშიძე** (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი), **ზაზა ბიბილაშვილი** (ჭავჭავაძის ცენტრი), ხოლო დისკუსია რადიო თავისუფლების ჟურნალისტმა, **ნინო გელაშვილმა** წარმართა. კონფერენციის მესამე პანელზე მოხდა ინტერპარტიული მანიფესტის *„რას ითხოვს ქართველი ამომრჩეველი: გზავნილი საქართველოს პოლიტიკური პარტიებისთვის“* პრეზენტაცია, რომელიც შემუშავდა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ფასილიტაციით ათი პარტიის წევრებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ. პროექტისა და ინტერპარტიული მანიფესტის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ ისაუბრეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსებმა, **ნინო სამხარაძემ** და **შოთა კაკაბაძემ**. პანელის მომხსენებლები იყვნენ პარტია გირჩი-მეტი თავისუფლების წევრი **გოგა ჭკადუა,** პარტია სტრატეგია აღმაშენებელის წევრი, **ელისაბედ ბრეგვაძე,** პარტია გახარია საქართველოსთვის წევრი, **მიხეილ წვერავა** და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი, **თამუნა მანველიშვილი.** კონფერენციის მესამე პანელს მოდერაციას უწევდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის ხელმძღვანელი, **ფელიქს ჰეტი.**

კონფერენციის ფარგლებში გაჟღერებული მთავარი მიგნებები:

პანელი I: არიან თუ არა ქართული პოლიტიკური პარტიები მზად კოალიციისთვის?

ძირითადი მიგნებები:

- ევროპაში კოალიციური მმართველობისა და ეკონომიკური განვითარების პოზიტიური კავშირი ხშირია. შესაბამისად, კოალიციურმა მმართველობამ, შესაძლოა, დადებითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკაზეც;
- პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ძლიერი იდეოლოგია, რაც მათ რადიკალურად განასხვავებს ერთმანეთისგან. შესაბამისად, მათ შორის კოალიციური თანამშრომლობა შესაძლებელია;
- გაერთიანების პრობლემის მიზეზი არის ის, რომ განსხვავებული აზრის მქონე პარტიები ერთმანეთს არა ოპონენტებად, არამედ მტრებად აღიქვამენ;
- პარტიები მხოლოდ იმის გამო ერთიანდებიან, რომ საერთო მტერს ხედავენ და მის დამარცხებას ცდილობენ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, არ იციან რა გააკეთონ, რადგან მათ დემოკრატიის კონსტრუქციული გაგება არ გააჩნიათ;
- აუცილებელია, კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული პარტიების შექმნა, რომლებიც თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფ კვლევით ორგანიზაციებს, ე.წ. think tank-ებს შექმნიან. think-thank-ები პოლიტიკურ პარტიებს დაეხმარებიან, კონკრეტული ტიპის პოლიტიკური პროგრამების განვითარებაში;
- საარჩევნო ბარიერის 5%-დან 2%-მდე დაწევის შემთხვევაში, 2022 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კოალიციური მმართველობის შექმნა უფრო რეალისტური იქნება;
- კოალიციური მმართველობა დემოკრატიის გადარჩენის და ავტორიტარული მმართველობის შერყევის ერთადერთი გზაა.

პანელი II: შიდაპარტიული დემოკრატია. რატომ არ გვყავს ახალი ლიდერები?

ძირითადი მიგნებები:

- გამოსავალი შედარებით მცირე ელექტორალური მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური პარტიების ერთ ან ორ საარჩევნო ალიანსში გაერთიანებაა. ასეთი პარტიები ერთმანეთთან კონკურენციაში კი არ უნდა იყვნენ, არამედ ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ;
- პარტიებში დაფინანსების მხრივ არსებული განსხვავებების და ფინანსების არათანაბარი გადანაწილების პრობლემის მოგვარება პარტიებში შიდადემოკრატიული პროცესის განვითარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ხელშემწყობი პირობა;
- ხალხს უნდა არა მარტო ახალი სახეები, არამედ ახალი პოლიტიკოსები, ახალი შინაარსი და ახალი შეხედულებები. კვლევების მიხედვით, მოსალოდნელია, რომ მომავალში მოქალაქეები ხმას მისცემენ ისეთ პარტიას, რომელსაც დიდი რაოდენობით ახალგაზრდა ეყოლება პარტიულ სიაში;
- ახალგაზრდები არ ერთვებიან პოლიტიკაში, რადგან უჭირთ პოლიტიკასთან თუ პარტიასთან ასოცირების შესახებ არსებული სტერეოტიპების დაძლევა. თუმცა, რადგან, საბოლოო ჯამში, პოლიტიკას ქმნიან ადამიანები, ახალგაზრდები მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რომ იპოვონ ის პარტია, რომელიც მათ იდეოლოგიასთან ახლოსაა ან თავად შექმნან ახალი.

პანელი III: საზოგადოებრივი მონაწილეობის განვითარება და მისი წახალისების გზები

ძირითადი მიგნებები:

- ამომრჩეველში არსებობს მოთხოვნა თანამშრომლობაზე დაფუძნებული პარტიათაშორისი კომუნიკაციის მიმართ;
- აუცილებელია პარტიებს შორის ეროვნულად მნიშვნელოვან საკვანძო საკითხებზე შეთანხმება;
- ამომრჩეველი ელის პარტიების მხრიდან უფრო საგნობრივ, რეალისტურ, დასაბუთებულ და სტაბილურ პლატფორმებს, გზავნილებს და პროგრამებს;
- პოლიტიკური პარტიების წარმატებით თანამშრომლობისთვის აუცილებელი ფუნდამენტია, თავად პარტიებმა გადადგან ნაბიჯები შიდადემოკრატიზაციის, დეცენტრალიზაციის, იდენტობის გამოკვეთის მიმართულებით;
- ქვეყნისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სპეციფიკური მიზეზებისა და შექმნილი რადიკალიზებული პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, განსაკუთრებით რთულდება პოლიტიკური პარტიებისთვის, ადეკვატურად უპასუხონ ამომრჩევლის მოთხოვნებს.

პანელი I: არიან თუ არა ქართული პოლიტიკური პარტიები მზად კოალიციისთვის?

30 მაისი, 2022

მოდერატორი:	**პროფ. დავით აფრასიძე** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონრად ადენაუერის ფონდი, პროექტის მენეჯერი
მომხსენებლები:	• **დოქტ. ფერნანდო კასალ ბერტოა** – ნოტინგემის უნივერსიტეტი; • **გიორგი ვაშაძე** – სტრატეგია აღმაშენებელი; • **ნათია მეზვრიშვილი** – გახარია საქართველოსთვის .

პანელზე დისკუსია შემდეგი ძირითადი შეკითხვების ირგვლივ წარიმართა:

- რატომ არის პარტიების მხრიდან კოალიციური მმართველობის მნიშვნელობის გააზრება მნიშვნელოვანი ქართული პოლიტიკური კულტურისთვის? შეაქვს თუ არა წვლილი ამ პროცესში პარტიების სტრატეგიებს?
- რა შიდა და პარტიათაშორისი ცვლილებებია საჭირო რეალური ცვლილებებისთვის?
- რამდენად შეძლებენ პარტიები, შეასრულონ კოალიციური მმართველობის შესახებ საზოგადოების მოთხოვნა?
- როგორ შეიძლება, საერთაშორისო გამოცდილება და საერთაშორისო აქტორები დაეხმარონ პარტიებს კოალიციური პოლიტიკური კულტურის გაძლიერებაში საქართველოში?

აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური სისტემების ანალიზისას მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ფართო ჭრილში ისაუბრა ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტ. **ფერნანდო კასალ ბერტოამ.** მისი თქმით, ევროპაში კოალიციური მმართველობა ნორმალური შემთხვევაა და მაგალითის სახით აღნიშნა, რომ 2020 წლის ოქტომბრის შემდეგ ევროპაში მმართველობის 2/3 კოალიციურ ფორმატშია. თუმცა, მან აქვე დასძინა, რომ საქართველოს მსგავსად, მოლდოვაში, უკრაინასა და სომხეთში ერთპარტიული მმართველობაა. მისი თქმით, საქართველოს კოალიციის შექმნის ძალიან მცირე გამოცდილება აქვს, რის

მიზეზადაც ორი მთავარი ფაქტორი დაასახელა. პირველი მიზეზი, მისი აზრით, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის შემდეგ კოალიციური ფორმატის დელეგიტიმაციაა. თუმცა, კასალ ბერტოას აზრით, ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს საარჩევნო სისტემა წარმოადგენს - კერძოდ კი, არაპროპორციულობის მაღალი დონე; მან აღნიშნა, რომ ბოლო ას ოთხმოცი წლის განმავლობაში საქართველოს საარჩევნო სისტემა ევროპაში რიგით მეორე ყველაზე არაპროპორციული სისტემაა. თუმცა, მან ასევე ხაზი გაუსვა ბოლო წლებში კონსტიტუციაში შეტანილ შესწორებებს, კერძოდ საპარლამენტო მმართველობაზე ნელ-ნელა გადასვლისა და პროპორციული წარმომადგენლობის ხელშესაწყობად არსებულ ცვლილებებს, როგორც პოზიტიურ ტენდენციას. როგორც პროფესორმა ახსნა, კოალიციის შექმნის ალბათობა უფრო დიდია საპარლამენტო მმართველობის პირობებში, ვიდრე საპრეზიდენტო მმართველობისას. თუმცა, მან ამავდროულად ახსენა, რომ ამ მხრივ საარჩევნო სისტემის რაობას მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო სისტემა პროპორციულზე გადადის, პარტიები მზად უნდა იყვნენ კოალიციის პოტენციური კონფიგურაციების დასაგეგმად. ობიექტურობისთვის, მომხსენებელმა ასევე გამოყო კოალიციური მმართველობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორად მან ხანგრძლივობა დაასახელა. თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს შემთხვევაში ერთპარტიულობის პირობებშიც ხელისუფლებები ხანგრძლივი დროით არ ირჩევიან, ყოველ შემთხვევაში ამის დიდი ტრადიცია არ ყოფილა აქამდე. მისი აზრით, კოალიციური მმართველობის ერთ-ერთ დადებით მხარედ შესაძლოა ის დასახელდეს, რომ V-Dem-ის მონაცემებით კოალიციური მმართველობის შემთხვევაში დემოკრატიის ხარისხი ბევრად მაღალია, ვიდრე ერთპარტიულობის შემთხვევაში. მან ასევე ახსენა კოალიციური მმართველობისა და ეკონომიკური განვითარების პოზიტიური კავშირი, რაც სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზეა გაანალიზებული. მოხსენების დასასრულს კასალ ბერტოამ ყურადღება გაამახვილა ხალხის ნებაზე, კერძოდ კი, მაგალითად მოიყვანა NDI-ის გამოკითხვის შედეგები, რის მიხედვითაც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა კოალიციის შექმნის მომხრეა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში პარტიებს არ აქვთ ძლიერი იდეოლოგია, რაც მათ რადიკალურად განასხვავებთ ერთმანეთისგან, მისი აზრით, პარტიებს შორის თანამშრომლობა მიღწევადი ჩანს. მან აუდიტორიას და მათ შორის კონფერენციაზე მყოფ

პოლიტიკოსებს შეახსენა, რომ დემოკრატია ნულოვან-ჯამოვანი თამაში არ არის და ძალიან მნიშვნელოვანია პარტიების მიერ ერთმანეთთან თანამშრომლობა და ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე შეთანხმება. მისი შენიშვნით, ამ აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ მიუხედავად კონკურენციისა, სხვადასხვა პარტიის წევრები ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია.

დემოკრატიის კონფერენციის პირველი პანელის დანარჩენი მომხსენებლები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერები იყვნენ. პირველი სიტყვით სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერი **გიორგი ვაშაძე** გამოვიდა, რომელმაც ძირითადად აქცენტი დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე გააკეთა. მისი საუბარი განსაკუთრებით შეეხებოდა პარტიებს შორის თანამშრომლობის მცირე კულტურას. მისი მტკიცებით, პარტია სტრატეგია აღმაშენებელი 19 აპრილის შეთანხმების ერთგულია და შეთანხმებების დაცვის მხრივ, მის პარტიას წარსულშიც კარგი გამოცდილება აქვს. თუმცა, მან გააკრიტიკა სხვა პარტიები ასეთი შეთანხმებების დარღვევაში. მეორე მხრივ, მან აღნიშნა, რომ არსებული ვითარება გარკვეულწილად საზოგადოებაში არსებული რეალური სურათის გამოხატულებაა. ის დაეთანხმა პროფესორ ბერტოას იმაში, რომ ერთიანი ძალებით გამარჯვება შესაძლებელია, თუმცა, ასევე ახსნა გაერთიანების პრობლემის მიზეზი, რაც განსხვავებული აზრის მქონე პარტიების ერთმანეთის ოპონენტების ნაცვლად მტრებად აღქმაში მდგომარეობს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესორმა ბერტოამ ქართული პარტიების იდეოლოგიები მეტნაკლებად მსგავსად მოიხსენია, ვაშაძის თქმით, პარტიებს შორის არსებობს ღირებულებითი შეუთავსებლობა, რაც მათ ხელს უშლის ერთიან ფორმატში ღირებულებითი ბმა გააბან სხვადასხვა პარტიების მხარდამჭერებთან. გარდა ამისა, მან ფაქტობრივ მაგალითად მოიყვანა ის გარემოება, რომ არჩევნების შემდეგ, ან გამარჯვების შემდეგ პარტიების მხრიდან აღარ გრძელდება ძალების კონსოლიდაცია.

კონფერენციის მეორე პოლიტიკოსი მომხსენებელი პარტია გახარია საქართველოსთვის ერთ-ერთი ლიდერი **ნათია მეზვრიშვილი** იყო, რომელმაც ძირითადად კოალიციის გარდაუვალობაზე ისაუბრა, რაც მას ავტორიტარული მმართველობის პრევენციის გზად ესახება. მისი გადმოსახედიდან, პარტიათა შორის თანამშრომლობის კარგი მაგალითია 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების შემდგომი პერიოდი, როდესაც სახელისუფლებო პარტიამ რიგი მუნიციპალიტეტების შემთხვევაში დაკარგა უმრავლესობა და ოპოზიციურ პარტიებს

შორის მოხერხდა შეთანხმება. ქართული დემოკრატიის წინაშე არსებული გამოწვევებიდან მეზვრიშვილმა მისი მოსაზრებით სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოყო: მისი აზრით, პირველი პრობლემა ძალაუფლების დანაწილებას შეეხება. კერძოდ მან ახსნა, რომ ყველაფერი კონვერტირებულია ერთი პარტიის ხელში; დემოკრატიის მეორე მთავარ გამოწვევად მან არჩევნები დაასახელა, რაც მისი თქმით ჯერ კიდევ შავ ფულთან, მოსყიდვასთან და ზოგადად კორუფციულ ელემენტებთანაა დაკავშირებული; მესამე მთავარ გამოწვევად მეზვრიშვილმა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საკითხი დაასახელა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მოსამართლეთა მმართველი კლასისადმი ლოიალობის საკითხზე. ამ პრობლემების გადასაჭრელად მას ძალაუფლების გადანაწილება, ძლიერი საპარლამენტო მმართველობა და კონსენსუსით გადაწყვეტილებების მიღება ესახება, როგორც მოკლევადიანი პერსპექტივა. თუმცა, მან აქვე დასძინა, რომ მანამ სანამ კომპრომისების მიღწევა შეუძლებელია, ერთობაზე და კოალიციაზე საუბარი ზედმეტია.

მოხსენებების დასრულების შემდეგ აუდიტორიიდან რამდენიმე კომენტარი და შეკითხვა დაისვა. პირველი კომენტარი პარტია ევროპული საქართველოს ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი კანდელაკმა გააკეთა და კოალიციის განმარტების დაზუსტება მოითხოვა. მან აღნიშნა, რომ კლასიკური გაგებით კოალიციური მთავრობა საქართველოში არასდროს ყოფილა. მან ახსნა, რომ კოალიცია კლასიკური გაგებით არის ის, როდესაც რამდენიმე საარჩევნო სუბიექტი ცალ-ცალკე გადის არჩევნებზე და არჩევნების შემდეგ მათ მიერ მოპოვებული ხმების პროპორციების საფუძველზე ისინი ქმნიან მთავრობას. მისი თქმით, ის რაც დღეს ხდება, ეს დემოკრატიული დღის წესრიგიდან გადახვევა. ამის თვალშისაცემი მაგალითი კი, მისი აზრით, ნამოხვანის შემთხვევა იყო, როდესაც ზოგიერთი პარტია ფლირტში შევიდა ეთნონაციონალისტურ და რელიგიურ საკითხებთან; მან აგრეთვე ახსენა ბანკების საკითხი და ის ფართოდ გავრცელებული გამოთქმა, რომ „ბანკები ხალხს სისხლს წოვენ," რაც მისი აღქმით ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელოვანი ეროზია ვითარდება ჩვენს თვალწინ. მან დასვა რიტორიკული შეკითხვები, კერძოდ გადავიდა, თუ არა ქართული ოცნება დემოკრატიული ჩარჩოდან საბოლოოდ? იქცევა, თუ არა ის რუსეთის რბილი სატელიტივით? მეორე მნიშვნელოვანი თემა, რაზეც პოლიტიკოსმა ყურადღება გაამახვილა იყო ეროვნული თანხმობის საკითხი, რაზეც პროფესორმა ბერტოამაც ისაუბრა. ამ ჭრილში მან ახსნა, რომ თუ ძალაუფლების მპყრობელს მიზნად აქვს დასახული ყველას განადგურება

და მეორე მხარე, რომელსაც არაფერი არ უპყრია ხელთ, იხვეწება ამ ეროვნულ თანხმობას, მაშინ ეს რეჟიმისთვის შესაძლებლობების მიცემა ხდება. მისი მტკიცებით, თუ ეს რეჟიმი სისუსტის პროვოცირებაზეა ორიენტირებული, მაშინ შეუძლებელი იქნება ეროვნული თანხმობა. ბოლოს, კანდელაკმა პოლარიზაციის თემა გამოყო და აღნიშნა, რომ ტერმინი პოლარიზაცია ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასამარდეს. მისი თქმით პოლარიზაცია გულისხმობს რაღაც პარიტეტს რომელიც არ არსებობს საქართველოში, ხოლო ჩვენ საქმე გვაქვს სახელმწიფოს მიტაცებასთან და ქვეყნის ძალიან სახიფათო ტრაექტორიასთან.

აუდიტორიიდან ერთ-ერთმა დამსწრემაც გააკეთა მოკლე კომენტარი და პოლიტიკური კრიზისის მთავარი პრობლემად ამომრჩევლის მობილიზების თვალსაზრისით პოლიტიკური ელიტის გაუცნობიერებლობა დაასახელა. მან მაგალითად მოიყვანა ის ფაქტი, რომ არჩევნებზე ქართული ოცნების მხარეს საიდანღაც ჩნდება ხოლმე ხალხის გარკვეული რაოდენობა, რომელიც არა ძალით, არამედ თავისთავად მობილიზდება. მისი ახსნით, ამის მიზეზი არის, მოსახლეობისადმი პოლიტიკური პარტიების არასწორი დამოკიდებულება, რომელიც თუ არ შეიცვალა საბოლოო ჯამში საქართველო მიიღებს ნამოხვანის მსგავს მოძრაობებს, რომლებიც იქნება დაკომპლექტებული ნაციონალისტურ-პოპულისტური პოლიტიკური ჯგუფებისგან და თავისი შინაარსით კონტროვერსული.

დამსწრეთაგან ასევე იკითხეს, თუ რამდენად არის პოლიტიკურ სპექტრში კოალიციაში გაერთიანების სურვილი. აღნიშნულ შეკითხვას კონფერენციის პირველი პანელის მოდერატორმა დავით აფრასიძემ ასევე დაამატა ქვე-შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რეალურად რამდენად სურს მოსახლეობას კოალიციის ნახვა. გიორგი ვაშაძემ პასუხად თქვა, რომ არ არის დარწმუნებული საზოგადოებას, რამდენად უნდა კოალიცია და აღნიშნა, რომ გააჩნია როგორ ესმის კოალიციის მნიშვნელობა ხალხს. შესაბამისად, ის მიიჩნევს, რომ რაოდენობრივ კვლევაში ეს შეკითხვა დასაზუსტებელია. ვაშაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში პოსტ-საარჩევნო კოალიციური გამოცდილება ნაკლებადაა, გარდა ბოლო თვითმმართველობის არჩევნებში არსებული თანამშრომლობისა, თუმცა, იქვე დასძინა, რომ ამ კოალიციასაც თავისი პრობლემები დაერთო, რადგან აპრიორი მმართველ გუნდთან ხდება თანამშრომლობა და საერთო ეროვნული პოლიტიკური საკითხები ხშირად დღის წესრიგიდან იკარგება. მისი განმარტებით აუცილებელია, რომ ქართულ ოცნებას ოპოზიციამ გამოაცალოს პროდასავლური ამომრჩეველი. ნათია მეზვრიშვილი ნაწილობრივ დაეთანხმა წინა

მოპასუხის აზრს და თქვა, რომ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ბათუმის და სენაკის შემთხვევაში საკრებულოებში კრიზისი შეიქმნა და იქ თვითმმართველობები ფაქტობრივად არ მუშაობს. მან მწუხარება გამოთქვა იმის შესახებ, რომ ოპოზიციურ პარტიებს ჰქონდათ კარგი ინიციატივები სოციალურ თემებზე, სასწრაფო სამედიცინო პუნქტების გახსნაზე და მსგავსი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე, თუმცა, ღრმა პოლარიზაციის გამო ეს თემები საერთოდ ჩაიკარგა და ის, რაზეც ოპოზიციური პარტიები ადგილობრივ დონეზე მუშაობენ, საერთოდ არ ჩანს.

კითხვა-პასუხის მეორე რაუნდის დროს ძირითადი შეკითხვები შეეხებოდა საარჩევნო სისტემის როლს კოალიციის ხელშეწყობის ჭრილში, ასევე მედიისა და საერთაშორისო აქტორების როლს. კერძოდ იმას, რომ ხომ არ იყო გარკვეული შეცდომები დაშვებული მედიის მხრიდან და უფრო ნაკლებად მტრული გარემო რომ შეექმნათ ოპოზიციურ არხებს, უფრო მეტი შესაძლებლობა ხომ არ იქნებოდა კოალიციის შესაქმნელად. ასევე, აუდიტორიიდან დაისვა კითხვა კონსენსუსის და კულტურის დეფიციტის პრობლემაზე, იმაზე თუ რატომ არ არის პარტიათშორისი კომუნიკაცია გამართული.

ხალხთან პირდაპირი კომუნიკაციის პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება ერთ-ერთმა მონაწილემაც. დოქტორმა ფერნანდო კასალ ბერტოამ კოალიციის შექმნის პრობლემაზე ისაუბრა, კერძოდ კი იმაზე, თუ რატომ იშლება საერთო ბლოკით ხელისუფლებაში მოსული პარტიები. ასევე, ახსენა რომ ბლოკის მეშვეობით, ან არჩევნების დროს უკვე შექმნილი კოალიციით ხელისუფლებაში სხვა ქვეყნებშიც მოსულან მთავრობები და მერე არ შეუქმნიათ კოალიცია. კერძოდ, ასეთი ქვეყნების რიგებში მან მოიხსენია ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი, ესტონეთი, ხორვატია იმის საილუსტრაციოდ, რომ არჩევნებამდე კოალიციის შეკვრა და შემდეგაც ამ ფორმატში მუშაობა შესაძლებელია. თუმცა, შეკითხვაზე თუ რატომ არ ამართლებს ეს ტაქტიკა საქართველოში და რატომ იშლებიან არჩევნებამდე შექმნილი პარტიათა ერთობები, მან ახსნა, რომ ასეთი პარტიები საერთო მტრის დამარცხების მიზნით ერთიანდებიან, ხოლო ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი არ იციან რა გააკეთონ, რადგან მათ არ გააჩნიათ დემოკრატიის კონსტრუქციული გაგება. ამის გამო ის მიიჩნევს, რომ აუცილებელია კონკრეტულ პოლიტიკაზე, საკითხებზე ორიენტირებული პარტიების შექმნა, რისთვისაც მათ თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი კვლევითი ორგანიზაციები უნდა შექმნან, ე.წ. think tank-ები, რათა მათი მეშვეობით იმუშაონ კონკრეტული ტიპის

პოლიტიკებზე, იქნება ეს სოციალური, ეკონომიკური, საგარეო თუ სხვა. ხოლო რაც შეეხებათ საერთაშორისო აქტორებს, მისი გაგებით, მათ შეუძლიათ დახმარება გაწიონ კანონმდებლობის დახვეწაში ხელშეწყობის მიმართულებით, ინსტიტუციური გადაწყვეტილებების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში, საპარლამენტო საქმიანობის ზედამხედველობაში, პარტიული რეგულაციების გაუმჯობესებაში და სხვა. მან ბოლოს აღნიშნა, რომ ყველაზე მთავარია, პარტიებმა იმოქმედონ იქიდან გამომდინარე, თუ რა არის ქვეყნისთვის კარგი და მნიშვნელოვანი და არა მაინც და მაინც მათი პარტიებისთვის.

გიორგი ვაშაძის თქმით, მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერის 5%-დან 2%-მდე დაწევის შემთხვევაში კოალიციური მმართველობის შექმნა უფრო რეალისტური იქნება. თუმცა, მაინც გააჩნია როგორ პარტიებთან ერთად მოხდება კოალიციის შეკვრა. მისი აზრით, ადრე ნაციონალურ მოძრაობასთან ბლოკის შეკვრა, პატარა პარტიებისთვის ამომრჩევლის დაკარგვას უდრიდა, ამ შემთხვევაში ამომრჩეველს ერჩივნა ნაციონალური მოძრაობისთვის მიეცა ხმა, რომელსაც სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით გამარჯვების უფრო რეალური შანსი ჰქონდა. თუმცა ახლა, როდესაც ბლოკების შექმნა შეუძლებელი იქნება, კოალიციაზე ძალიან სერიოზულადაა სამსჯელო, რადგან აქ ღირებულებითი აცდენა შეიძლება იყოს პარტიებს შორის. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის მიმართულებით, მან ახსენა, რომ სტრატეგია აღმაშენებელი ერთ-ერთი მსხვილი ევროპული პარტიების ოჯახის „ალდეს“ პარტიის წევრი გახდა და შესაბამისად, ეს ძალიან დაეხმარება მათ საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკების შესწავლაში, რასაც ისინი აუცილებლად გამოიყენებენ შიდაპარტიული დემოკრატიის გასაუმჯობესებლად და წევრების მოსაზიდად.

ნათია მეზვრიშვილის აზრით კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი 2024 წლის არჩევნებამდე საპარლამენტო ზედამხედველობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და ასევე, ისეთ საკითხებზე მუშაობაა, როგორიცაა არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარება; მაგალითად ასევე საარჩევნო კომისიის სწორად დაკომპლექტების წესი; სასამართლოს მიმართულებით გარკვეული საერთაშორისო და ადგილობრივი ბერკეტების გამოყენება. მისი მოსაზრებით, ეროვნული ღირებულებების გარშემო გაერთიანება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პარტიები გაერთიანდებიან დამოუკიდებელი სასამართლოს ირგვლივ, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუს მინიჭებისთვის ხელშეწყობის მიზნით და მსგავსი

ეროვნული მნიშვნელობის საკითხების გარშემო. მისი თქმით, ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში არის პარტიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და საერთაშორისო პარტნიორებთანაც მუშაობენ ამაზე, რომ მათი ჩართულობა გაზარდონ. მან მედია გააკრიტიკა იმის გამო, რომ მათ შინაარსობრივი კუთხით თემატურ საკითხებზე საუბრის შესაძლებლობა არ ეძლევათ. თუმცა, მან ასევე აღიარა, რომ მათი პრობლემაცაა თუ ვერ წარმოაჩენენ თავს უკეთ და არ ჩანს რის გარშემო არიან გაერთიანებულები. და ბოლოს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოალიცია დემოკრატიის გადარჩენის და ავტორიტარული მმართველობის შერყევის ერთადერთი გზაა, რაზეც სხვა პარტიების წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ.

პანელი II: შიდაპარტიული დემოკრატია. რატომ არ გვყავს ახალი ლიდერები?

30 მაისი, 2022

მოდერატორი:	**ნინო გელაშვილი** – რადიო თავისუფლება
მომხსენებლები:	• **თეონა ზურაბაშვილი** – საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი; • **დავით შერვაშიძე** – საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი; • **ზაზა ბიბილაშვილი** – ჭავჭავაძის ცენტრი; • **დავით ბერძენიშვილი** – რესპუბლიკური პარტია.

პანელზე დისკუსია შემდეგი ძირითადი შეკითხვების ირგვლივ წარიმართა:

- რატომ არ სურთ ახალგაზრდა/ახალ ლიდერებს მონაწილეობა მიიღონ ქართულ პოლიტიკაში?
- რა შესაძლებლობები აქვთ ახალ ლიდერებს პოლიტიკურ პარტიებში აქტივობისთვის?
- რა სტრატეგიები აქვს პოლიტიკურ პარტიებს ახალი ლიდერების მოსაზიდად?
- რა შეიძლება იყოს საერთაშორისო საზოგადოების როლი ახალგაზრდობის ჩასართავად ქართულ პოლიტიკაში?
- რა შეიძლება ვისწავლოთ საერთაშორისო პრაქტიკითა და ნორმებით?

კონფერენციის მეორე პანელის პირველი მომხსენებელი იყო რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, **დავით ბერძენიშვილი,** რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ელიტის განვითარების და პარტიათა შორის თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ მისეული ხედვა გააცნო. მისი აღნიშვნით, ქართული პოლიტიკური კლასის, პროტო-პოლიტიკური ელიტა შედგება ეროვნული მოძრაობიდან შემორჩენილი ორიოდე ადამიანისგან, რომლებიც უკვე ნაკლებ როლს თამაშობენ პოლიტიკაში. ბერძენიშვილის აზრით, ლიდერების უმრავლესობა დიდი ხანი პოლიტიკაში აღარაა. თუმცა ის პარტიები, რომლებიც დღეს კიდევ გავლენას ახდენენ ქართულ პოლიტიკაზე ამას

რამდენიმე ფაქტორის შედეგად ახერხებენ: თაობის ცვლილება, ღირებულების ერთგულება ან არაპოპულარული პოზიციების დეკლარირება. მისი აზრით, პროტო-პოლიტიკურ ელიტაშია ასევე ნაციონალური მოძრაობა, რომლის თანაბლოკელების, რესპუბლიკელების და კონსერვატორების ზოგი წევრი დღემდე შემორჩა პოლიტიკას. მისი აზრით, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების დიდი ნაწილი ასევე შემორჩა პროტო-პოლიტიკურ ელიტაში, რომელიც სწორედ ვარდების რევოლუციიდან მოდის, მაგრამ მომხსენებლის შეფასებით, მათ საზოგადოებაში მათ ცვეთის მაღალი ხარისხი აქვთ. ბერძენიშვილის აღნიშვნით, ბოლო პერიოდში გამოჩნდნენ ნაციონალური მოძრაობის ახალი სახეები, რომელიც არ არიან ცვეთის ასეთ მასშტაბში. ამასთან, მისი თქმით, ქართული ოცნება არ არის პარტია, არის სახელისუფლო ბიუროკრატია, რომელიც უბრალოდ ჩაენაცვლა მის წინამორბედებს; ისინი არ შედიან ამ პროტო-პოლიტიკური ელიტის ფორმალურ კლუბში და მისი აზრით, ამ პარტიიდან ბევრი ასლან აბაშიძის და მისი პარტიის ბედს ბევრი გაიზიარებს. დავით ბერძენიშვილის შენიშვნით, ორპოლუსიანობა ხელისუფლების წარმატების გარდაუვალი საწინდარია და უკრაინაში მიმდინარე ომის და რუსეთის მარცხის ფონზე, გამოსავალი შედარებით მცირე ელექტორალური მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური პარტიების პარტიების ერთ ან ორ საარჩევნო ალიანსში გაერთიანებაა. მისი აზრით, აღნიშნულ პარტიები ერთმანეთთან კონკურენციაში კი არ უნდა იყვნენ, არამედ ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ. მომხსენებელმა განსაკუთრებული ხაზი გაუსვა, იმ ამომრჩეველთა მნიშვნელობაზე, რომელიც თავს არც ნაციონალური მოძრაობის და არც ქართული ოცნების ამომრჩევლად არ მოიაზრებს. დავით ბერძენიშვილის აზრით, ასეთ ამომრჩეველს განსაკუთრებული როლი აკისრია შედარებით მცირე ელექტორალური მხარდაჭერის მქონე პარტიების მიერ ბარიერის გადალახვის პროცესში.

პანელის შემდეგმა მომხსენებელმა, **თეონა ზურაბაშვილმა** 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში პარტიების საარჩევნო სიების პირველი ათეულების და პარტიათა ახალგაზრდა წევრებთან ინტერვიუების საფუძველზე წარმოადგინა ანალიზი თემაზე, თუ რა განაპირობებს პარტიებში ახალგაზრდების დაწინაურებას და მათ წვდომას პარტიული პოლიტიკის შემუშავებაზე. თეონა ზურაბაშვილმა აღნიშნა, რომ კვლევის მიხედვით, პარტიებში ახალგაზრდა ლიდერების მოზიდვის ან პარტიის შიგნით მათი დაწინაურების ტენდენცია გარკვეულწილად შეინიშნება, თუმცა, მომხსენებლის აზრით, ეს გარემოება

შესაძლოა იხსნებოდეს პარტიების განვითარების თავისებურებებით; მაგალითად, განაყოფ პარტიას ან ახალ პარტიას ადამიანური რესურსების სიმცირიდან გამომდინარე, შეიძლება, ახალგაზრდა ლიდერების პარტიულ სიაში წარდგინების უფრო რაციონალური მიზეზები ჰქონდეს. ზურაბაშვილმა დაასახელა სამი ფაქტორი, რაც პარტიებს განასხვავებს ახალგაზრდა ლიდერების დაწინაურებისა და პარტიული პოლიტიკის შემუშავებაზე მათი წვდომის ხარისხის მიხედვით: 1.ფინანსური რესურსი - იმ პარტიებში, რომლებიც მსხვილ დონორებზე არიან ფინანსურად დამოკიდებულები, ახალგაზრდები უფრო მეტად აქტივისტებად არიან აღქმულნი, განსხვავებით იმ პარტიებისგან, რომელთა დაფინანსების წყაროს ფანდრაიზინგი წარმოადგენს; 2.იდეოლოგია - ფინანსური რესურსი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად იდეოლოგიზებულია პარტია. შესაბამისად, ფინანსური რესურსებით მდიდარ პარტიებში უფრო იმ ახალგაზრდების დაწინაურებაა ხშირი, რომლებიც პარტიული აქტივიზმით გამოირჩევიან. ფინანსურად შედარებით ნაკლებად უზრუნველყოფილ პარტიებში კი, პარტიის იდეოლოგიასთან თავსებადობაა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია პარტიაში დაწინაურებისთვის; 3. განსხვავება იერარქიულ და ცენტრალიზებულ პარტიებს შორის. როგორც ზურაბაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად, ახალგაზრდული ფრთა პარტიებში ადამიანური რესურსების წყაროდ და პარტიათა განახლების საშუალებად ითვლება. თუმცა, საქართველოში იმ პარტიებში, რომლებსაც ახალგაზრდული ფრთა ჰყავთ, უფრო ხშირია ამ ახალგაზრდების როგორც პარტიული აქტივის გამოყენებისა და ,,ზევიდან ქვევით“ დავალების მიცემის პრაქტიკა, რაც პარტიის შიგნით ახალგაზრდების კარიერული ზრდის შესაძლებლობას აფერხებს. ზურაბაშვილმა ხაზი გაუსვა პარტიებში დაფინანსების მხრივ არსებული განსხვავებების და ფინანსების არათანაბარი გადანაწილების პრობლემის მოგვარების აუცილებლობას, როგორც პარტიებში შიდადემოკრატიის ხელშეწყობის ერთ-ერთ გზას.

პანელის მესამე მომხსენებელმა, **ზაზა ბიბილაშვილმა** ქართულ პოლიტიკურ პარტიებში შიდადემოკრატიის არ არსებობის მთავარ მიზეზად არსებული პოლიტიკური ელიტის ინტერესთა კონფლიქტი დაასახელა. მისი განმარტებით, ქართულ პოლიტიკურ პარტიებში არ არსებობს ინსტიტუციური მექანიზმი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია იდეოლოგიის წინ წაწევა; ამასთან, არ არსებობს დაწინაურების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა პრაიმერისი და არ არსებობს დებატების ინსტიტუტი, რომელიც პარტიის ამომრჩეველს საშუალებას

მისცემს გადაწყვიტოს, აირჩიოს, თუ ვინ იქნება მისი პარტიის სახე. ნაცვლად კი, მისი აზრით, პარტიებში დაწინაურების მთავარი ფაქტორია პარტიების ლიდერებთან ნაცნობობა და რამდენად შეძლებენ ახალგაზრდები ლიდერებისთვის თავის მოწონებას. მისი აზრით, ეს გარემოება არის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი, რომ ახალგაზრდები არ მიდიან პოლიტიკაში. ზაზა ბიბილაშვილის განმარტებით, პარტიებში შიდადემოკრატიული პროცესების დასაწყებად საჭიროა, არსებული ხელმძღვანელების დარწმუნება, რომ მათთვისვე უკეთესია, ისინი ვინმემ ჩაანაცვლოს. თუმცა, მისი აღნიშვნით, ასე არ ხდება, რადგან ახალგაზრდა ან უკვე წინასწარ შეგუებულია პარტიაში არსებულ კონიუნქტურას ან მოტივაცია უქრება, რომ ამ კონუნქტურას თავისი რესურსი შესწიროს. ბიბილაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტორებს, რაც მისი აზრით, მნიშვნელოვანია პარტიების შიდადემოკრატიისთვის: 1. ჩართულობა-წევრების მონაწილეობა პარტიების მართვის პროცესში, პრაიმერისი-სიების შესადგენად და კანდიდატების შესარჩევად; 2. გამჭვირვალობა-ფინანსები, როგორ იხარჯება თანხა და რა პრინციპით; 3. ანგარიშვალდებულება-ხელმძღვანელობამ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს წარუმატებელ საარჩევნო კამპანიებზე და იფიქროს, მათი ჩანაცვლების შესაძლებლობებზე.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა, **დავით შერვაშიძემ** კვლევებზე დაყრდნობით ისაუბრა იმაზე, თუ რა სურს ამომრჩეველს. მისი აღნიშვნით, ხალხს უნდა არა მხოლოდ ახალი სახეები, არამედ ახალი პოლიტიკოსები, ახალი შინაარსი და შეხედულებები. შერვაშიძის აღნიშვნით, გამოკითხულ მოქალაქეთა 93% (ვეთანხმები და ნაწილობრივ ვეთანხმები) ამბობს, რომ პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდების ხილვა სურთ. მისი აზრით, საზოგადოებაში არის მზაობა (რომელიც წლებთან ერთად იზრდება) და ასევე მოთხოვნა, რომ იმაზე უფრო მეტი ახალგაზრდა იყოს ჩართული პოლიტიკაში, ვიდრე ახლაა. მომხსენებლის აზრით, ამ მოთხოვნას განაპირობებს ის გარემოება, რომ არსებული კლასი ვერ ახერხებს წინსვლას და პოლიტიკური პროცესი სადღაც გაჩერდა. შერვაშიძის აღნიშვნით, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევების მიზანია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა სწორად გაიგონ, რა ხდება, როგორ ხდება და სწორად დაგეგმონ საკუთარი სტრატეგიები. მისი აზრით, ასევე მოსალოდნელია, რომ მომავალში მოქალაქეებმა ისეთ პარტიას მისცენ ხმა, რომლებსაც ახალგაზრდები დიდი რაოდენობით ეყოლება სიაში. თავის გამოსვლაში შერვაშიძე ასევე შეეხო ახალგაზრდების

პოლიტიკურ პარტიებში ჩართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა ამ გამოწვევების დაძლევის გზა. მისი აზრით, მთავარი პრობლემა არის ის, რომ ახალგაზრდებს უჭირთ პოლიტიკასთან თუ პარტიასთან ასოცირების შესახებ არსებული სტერეოტიპების დაძლევა. თუმცა, მისი თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკას საბოლოო ჯამში ადამიანები ქმნიან, ახალგაზრდები მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რომ იპოვონ ის პარტია, რომელიც მათ იდეოლოგიასთან ახლოსაა და ან თავად შექმნან ახალი.

მოხსენებების დასრულების შემდეგ აუდიტორიიდან რამდენიმე კომენტარი და შეკითხვა დაისვა. ერთ-ერთი დამსწრის აზრით, პარტიებში შიდადემოკრატიის არ არსებობას გარკვეულწილად შეიძლება განაპირობებდეს ქვეყანაში დეცენტრალიზაციის და ლოკალური პოლიტიკის არ არსებობა, რაც კლავს ქვემოდან ზემოთ პოლიტიკური პროცესის განვითარების პროცესს. აუდიტორიიდან დაისვა შეკითხვა, თუ არსებობდა რაიმე კვლევა ან მონაცემები, რომლებიც ახალგაზრდების პოლიტიკაში მონაწილეობის ან პარტიებში ჩართულობის შესახებ სხვა ქვეყნებში არსებულ ტენდენციებს აჩვენებდნენ. აღნიშნულ კითხვას თეონა ზურაბაშვილმა უპასუხა. მისი განმარტებით, კონსოლიდირებულ დემოკრატიებშიც კი ახალგაზრდები ნაკლებ ინტერესს იჩენენ პოლიტიკურ პარტიებში ჩართულობის მხრივ და ეს შეიძლება იმ ფაქტორით იყოს განპირობებული, რომ ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, პოლიტიკურმა პარტიებმა მოქალაქეთა განათლების თუ სოციალიზაციის ტრადიციული როლი დაკარგეს. თუმცა, ზურაბაშვილის აღნიშვნით, ახალგაზრდების შემცირებული სურვილი გახდნენ პოლიტიკური პარტიების წევრები საქართველოში უფრო ნეგატიურად აისახება პოლიტიკურ დღის წესრიგზე, იმიტომ რომ ქვეყანაში არ არსებობს პარტიული დემოკრატია და პარტიებს განახლება არ ხდება. კონფერენციის ერთ-ერთმა მონაწილის კითხვა შეეხებოდა იმას, მოპარეს თუ არა მოძრაობა ,,სირცხვილიას“ დღის წესრიგი პოლიტიკურმა პარტიებმა და ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ ასეთ ადამიანებს პოლიტიკურ პროცესებში წვლილის შეტანის საშუალება არ ეძლევათ. კონფერენციის მომხსენებელი, დავით შერვაშიძე არ დაეთანხმა იმ აზრს, რომ პარტიები ახალგაზრდების მუხტის მიტაცებას ახდენენ. მისი აზრით, მხოლოდ ქუჩის აქციებით, პარტიების და მათთვის ხმის მიცემის გარეშე ცვლილებები არ ხდება და ქვეყანას ჭირდება პოლიტიკური პარტია, რომელიც ცვლილებებზე ორიენტირებულ იდეებს

წარმოადგენს. შერვაშიძემ ასევე უპასუხა კითხვას, რამდენად არის მედია პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხით დაინტერესებული. შერვაშიძის თქმით, ძალიან დიდი პრობლემაა, რომ მედია და მაყურებელი იმდენად სხვა შინაარსზეა ფოკუსირებული, რომ ხშირად აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება არ ხდება. მისი აზრით, პარტიებმა უნდა მოითხოვოს ახალგაზრდული თოქ შოუები. აუდიტორიიდან ასევე გაკეთდა კომენტარი იმ გამოწვევების შესახებ, რის წინაშეც პოლიტიკაში წასული ახალგაზრდა შეიძლება აღმოჩნდეს. კომენტარის ავტორის აზრით, პოლიტიკა ისევ არის რეპრესიების სფერო და პოლიტიკაში წასული ადამიანი შეიძლება ვერ აღმოჩნდეს ანაზღაურებად სამსახურში ან მისი ოჯახის წევრები აღმოჩნდნენ საფრთხის ქვეშ; მისი აღნიშვნით, პოლიტიკა არ ჩანს მომხიბვლელად იმ ფაქტორის გამოც, რომ უკვე 20 წელია საუბრობენ საარჩევნო კოდექსზე, სასამართლო რეფორმაზე და ა.შ. და შედეგი მაინც არ დგება, ეს იწვევს ნიჰილიზმს, მაგრამ პრობლემათა შორის ავტორიტარული მმართველობა ფუნდამენტურია, რომელიც ყველანაირ პროცესს კლავს. კითხვა-პასუხისთვის გამოყოფილი დროის დასასრულს, ზაზა ბიბილაშვილმა შემაჯამებელი კომენტარი გააკეთა. მისი აზრით, ახალგაზრდათა ჩართულობა პოლიტიკურ პარტიებში თავისთავად არ ნიშნავს, რომ პროცესი უკეთესი გახდება და გამოსავალი არის თავად სისტემის ცვლილება. აუცილებელია, საქართველოში ფართოდ დაინერგოს პრაიმერისის პრაქტიკა და ახალგაზრდებს საშუალება მიეცეთ, გავიდნენ დებატებზე. ამ გზით, საქართველო ნელ ნელა გადავა დასავლურ ქვეყნებში მიღებულ პარტიების/ლიდერების ცირკულაციის წესზე.

პანელი III: საზოგადოებრივი მონაწილეობის განვითარება და მისი წახალისების გზები

30 მაისი, 2022

მოდერატორი:	**ფელიქს ჰეტი,** ფრიდრიხ ებერტის ფონდი სამხრეთ კავკასიის ოფისი
მომხსენებლები:	• **გოგა ჭკადუა** – გირჩი-მეტი თავისუფლება; • **ელისაბედ ბრეგვაძე** – სტრატეგია აღმაშენებელი; • **მიხეილ წვერავა** – გახარია საქართველოსთვის; • **თამუნა მანველიშვილი** – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

პანელზე დისკუსია შემდეგი ძირითადი შეკითხვების ირგვლივ წარიმართა:

- რას ელიან მოქალაქეები პოლიტიკური პარტიებისგან? რა ნაბიჯები შეიძლება გადადგან პოლიტიკურმა პარტიებმა საზოგადოებრივი ჩართულობის მეტად წასახალისებლად?
- რა საკითხებში შეუძლიათ პარტიებს თანამშრომლობა თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური განსხვავებულობების მიუხედავად?
- რა არის სამოქალაქო საზოგადოების როლი საზოგადოების ყოველდღიურ პოლიტიკაში ჩასართავად?

პანელზე მოხდა ინტერპარტიული მანიფესტის *„რას ითხოვს ქართველი ამომრჩეველი: გზავნილი საქართველოს პოლიტიკური პარტიებისთვის“* პრეზენტაცია, რომელიც შემუშავდა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ფასილიტაციით ათი პარტიის წევრებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ. პროექტისა და ინტერპარტიული მანიფესტის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ ისაუბრეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსებმა, **ნინო სამხარაძემ და შოთა კაკაბაძემ**.

პანელის პირველი მომხსენებელი იყო პარტია გირჩი-მეტი თავისუფლების წევრი **გოგა ჭკადუა,** რომელმაც ისაუბრა კვლევის ორ მიგნებაზე, რომელიც ამომრჩეველში პარტიების მიმართ მოლოდინების სახით არსებობს, ესენია პარტიებს შიგნით და პარტიებს შორის

ეროვნულ საკითხებზე ფართო შეთანხმების მიღწევა, და პარტიების მხრიდან ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება. თითოეული ამ მოლოდინის საპასუხოდ მომხსენებელმა წარმოადგინა ის სავარაუდო სტრატეგიები, რომლებიც პარტიებს შეუძლიათ გამოიყენონ არჩევნებს შორის მოქმედების დასაგეგმად და ამომრჩეველთან დასაახლოებლად. ამგვარ სტრატეგიებს შორისაა იმ საკითხებზე ორიენტირება, რაზეც მეტი პოტენციალი არსებობს პარტიებს შორის თანხმობის მიღწევისთვის, კონკრეტულ წითელ ხაზებზე საუბარი, კონკრეტული სამოქმედო გეგმების გაწერა და ამომრჩევლისთვის პერიოდული ანგარიშის მიწოდება, ფინანსური გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდა, პარტიების ლიდერების ანგარიშვალდებულების სტრატეგიის გამოკვეთა და ა.შ.

პანელის მეორე მომხსენებელმა, პარტია სტრატეგია აღმაშენებლის წევრმა **ელისაბედ ბრეგვაძემ** ისაუბრა ამომრჩეველში არსებულ მოლოდინებზე, რომლებიც შეეხებოდა ინტერპარტიული თანამშრომლობის პრინციპების ჩამოყალიბებას, პარტიების იდენტობის ფორმირება-გაძლიერებას და პროგრამულ საკითხებზე მეტად ორიენტირებას. პარტიებისთვის განკუთვნილ სავარაუდო სტრატეგიებს შორის ხაზი გაესვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან პოლიტიკის მიმართ ნულოვანი ჯამის მიდგომის გადაფასებას, საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებას, მრავალპარტიული ფორმატების ინიციატივებს და ა.შ. ასევე, მნიშვნელოვან საკითხებად გამოიკვეთა შიდაპარტიული შეთანხმებების მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს, როგორიცაა რეგულარული და ფართო შიდადისკუსიები, ანალიტიკაზე და კვლევაზე დაფუძნებული მოქმედებები, იდეოლოგიებზე მეტი ორიენტირება, პროგრამების დახვეწა, დაკონკრეტება და ამომრჩევლისთვის გასაგებ და მისაღებ ენაზე წარდგენა და სხვა.

შემდეგი მომხსენებელი იყო პარტია გახარია საქართველოსთვის წევრი **მიხეილ წვერავა,** რომელმაც ხაზი გაუსვა ამომრჩეველში არსებულ მოლოდინებს პარტიების შიდა დემოკრატიების გაძლიერების, ინსტიტუციური დეცენტრალიზაციის და ამომრჩევლის პოლიტიკურ ცნობიერებაზე მუშაობის შესახებ. აღნიშნულ საჭიროებებზე საპასუხოდ, მომხსენებელმა წარადგინა შესაძლო სტრატეგიები, როგორიცაა ლიდერებს შორის მმართველობითი ფუნქციების გადანაწილება, შესაბამისი წესდების დახვეწის გზით, საარჩევნო სიის შედგენის პრინციპის მეტად გადემოკრატიულება, საერთაშორისო გამოცდილების ადაპტაცია ქართულ რეალობასთან. ამავდროულად, სასურველია, პარტიებმა

რეგიონულ წარმომადგენლობებზე აქცენტები გააძლიერონ მათი დამოუკიდებლობის და სამოქმედო თავისუფლების გაზრდის გზით, ასევე, გააქტიურონ მუშაობა პოლიტიკური მასალების - ტექსტების, ფილმების, პოდკასტების და ა.შ. - შექმნის, თარგმნის და გავრცელების, ასევე, ამომრჩევლის სხვადასხვა საგანმანათლებლო ფორმატებში - სკოლებში, ბანაკებში, დისკუსიებსა და დებატებში - მოზიდვის მიმართულებით.

პანელზე მანიფესტის პრეზენტაცია დაასრულა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა **თამუნა მანველიშვილმა,** რომელმაც შეაჯამა დოკუმენტში მოცემული მოლოდინები პარტიების ამომრჩეველთან კომუნიკაციის და უმცირესობების საკითხების წინ წამოწევის კონტექსტში. მისი აზრით, ამომრჩევლის მოლოდინებს შორის აღნიშნულ ორ ფაქტორზე რეაგირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არჩევნებს შორის პერიოდში უშუალო კომუნიკაციის დამოუკიდებელი სტრატეგიების შექმნა პარტიების რესურსების გათვალისწინებით, განსაკუთრებით, რეგიონებში, სადაც პოლიტიკური კომუნიკაციის განსაკუთრებული ნაკლებობა იგრძნობა, ამავდროულად მან ხაზი გაუსვა ინტერნეტ-სივრცის მეტად სწორად, ინტენსიურად და კრეატიულად დატვირთვას პარტიების მიერ, ასევე საერთო პლატფორმების შექმნას სხვადასხვა სახის უმცირესობებზე სასაუბროდ, მათი პრობლემების სწორად გასააზრებლად და დასაყენებლად პარტიების დღის წესრიგში. მომხსენებელმა, ამავდროულად, შეაჯამა ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ინტერპარტიული მანიფესტის მსგავს პროექტებზე და პროდუქტებზე მუშაობას ჯანსაღი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისთვის საქართველოში.

წარმოდგენილი მოხსენებების შემდეგ მოდერატორმა **ფელიქს ჰეტმა** პანელი გახსნა დისკუსიისთვის. მან გამოყო პარტიების დეცენტრალიზაცია და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, როგორც ორი საკვანძო საკითხი, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ ერთგვარი პარადოქსია, როდესაც ამომრჩეველში დეპოლარიზაციის მაღალი მოთხოვნა არსებობს მაშინ, როცა მათთვის პოლიტიკური პარტიების იდენტობა გამოკვეთილი არ არის და პარტიები ერთმანეთს ჰგვანან. მოხსენებებს მოჰყვა კომენტარები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მოწვეული სტუმრების მხრიდან, რომლის ფარგლებში შეფასდა მანიფესტის როგორც შინაარსი, ასევე მნიშვნელობა პარტიებისთვის, ამავდროულად,

გამოიკვეთა ის სიძნელეები, რაც პარტიების, განსაკუთრებით კი ოპოზიციური პარტიების წინაშე დგას მსგავსი შეთავაზებების მათ სამოქმედო სტრატეგიებში დაინტეგრირების გზაზე.

ლეიბორისტული პარტიის წევრმა **მიხეილ ქუმსიშვილმა** აღნიშნა, რომ პანელზე წარმოდგენილი პროდუქტი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, მასში კარგი მიგნებებია გადმოცემული და პარტიებისთვის ის კარგი სახელმძღვანელოა. თუმცა მან გამოთქვა ეჭვი, რომ პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა შესაძლებელია. ეს სკეპტიციზმი ეფუძნება იმას, რომ მყარია ვერტიკალური მმართველობის ფორმა და პარტიებისთვის ამ მოდელის ცვლილება კომფორტული არ არის, მათ შორის, იმიტომ, რომ არ არსებობს საკმარისი ადამიანური ან ფინანსური რესურსები პარტიებში. და დამატებითი ღონისძიებები ყოველთვის თანხებს საჭიროებს. ქუმსიშვილის თქმით, პოლიტიკური ცნობიერება დასავლური ფასეულობების შესაბამისად თანდათან ყალიბდება, და ამის მიხედვით გაცნობიერებულია სისტემის ნაკლოვანებები. თუმცა ამის გამოსწორებას სჭირდება მეტი დოზით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა პარტიაშიც და პოლიტსპექტრშიც, რაც დამატებით სირთულეებთანაა დაკავშირებული. მიხეილ ქუმსიშვილმა თავის გამოსვლაში ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზეც, როდესაც მან კენჭი იყარა თბილისის მერობის კანდიდატად, თუმცა მისი თქმით, წარმატების მისაღწევად მხოლოდ კვლევების შედეგად ნაჩვენები მაღალი მოთხოვნა ახალგაზრდა სახეების მიმართ არაა საკმარისი. იმ პირობებშიც კი, როდესაც ლეიბორისტულ პარტიას 10-იდან 9 ოლქში ახალგაზრდა კანდიდატი ჰყავდა წარდგენილი, რესურსებზე მეტი წვდომის გარეშე მათ უჭირთ საზოგადოება დაარწმუნონ თავიანთ სანდოობაში. შესაბამისად, ნიჰილიზმი იზრდება და ამის ფონზე ან ახალგაზრდები პოლიტიკიდან მიდიან და სამუდამოდ უარს ამბობენ ჩართულობაზე. შესაბამისად, ამ მიმართულებით კარგი იქნებოდა ფანდრაიზინგის მიმართულებით ღონისძიებები, მათ შორის ქვეყნის შიგნით. როცა საუბარია დასავლურ სტანდარტზე, ბიზნესის ჩართვა აუცილებელია, მაგრამ ეს პროცესი საქართველოში დამახინჯებულია, რადგან მხოლოდ ერთი პარტია აკონტროლებს ამას.

პარტია გირჩი-მეტი თავისუფლების ლიდერმა **ზურაბ ჯაფარიძემ** აქცენტები გააკეთა პანელზე წარდგენილი დოკუმენტის იმ პრობლემურ ფაქტორებზე, რომლებიც, მისი ხედვით, არ იმუშავებს. კონკრეტულად მისი პარტიისთვის, გარკვეული საკითხები ნაკლებად პრობლემატურია, მაგალითად შიდა დემოკრატიის საკითხი, თუმცა, მისი თქმით,

გაუმჯობესების რესურსი ყოველთვის უნდა არსებობდეს. მისი აზრით, ამის საპირისპიროდ, სინამდვილე არის ის, რომ ამომრჩევლის დიდი ნაწილი საქართველოში, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილებას იღებს დოკუმენტში წარმოდგენილი პრინციპების გარეშე. მან ხაზი გაუსვა, რომ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს პროგრამა, ხედვა და ა.შ. მაგრამ მეორე საკითხია, რეალურად რაზე აკეთებენ მოქალაქეები არჩევანს. ჯაფარიძის თქმით, საქართველოში მნიშვნელოვანია ბელადის ფაქტორი, ამავდროულად, კონკრეტულმა პოლიტიკურმა ძალამ ან ადამიანთა ჯგუფმა რამდენჯერაც არ უნდა შეიცვალოს აზრი, მაინც ერთსა და იმავე ძალაზე არის ამომრჩეველი ჩამოკიდებული. მისი აზრით, მეორე ფაქტორი, რის მიხედვითაც ამომრჩევლები იღებენ გადაწყვეტილებას, არის ის, თუ სად ხედავენ ძალას, მიუხედავად იმისა, რა პასუხებს გვცემენ ისინი კვლევების დროს. ჯაფარიძის შენიშვნით, კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ მაგალითად, პოლიტიკურმა სპექტრმა შეძლო რაღაცებზე ხელის მოწერა, რაშიც ჩართული იყო ბევრი პარტია, მაგრამ რეალობა იყო ის რომ ეს პარტიებმა რეალურად გამოიყენეს მხოლოდ პიარისთვის და არა საგნობრივი დისკუსიისთვის. ზურა ჯაფარიძის თქმით, კონკრეტულად ახალგაზრდობის მთავარი მიზანი უნდა იყოს არა პარტიებს შორის გზის გაკვლევა, არამედ უფრო ფართო ბარიერების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ხელის უშლის მათ ჩართულობაში, მაგალითად, ასაკობრივი ცენზი და ა.შ. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ პარტიული დაფინანსება არ იყოს ქცეული პოლიტიკურ ბიზნესად, ანუ პარტიების მიერ რაიმე სტატუსის და სარგებლის მოპოვების შემდეგ გარანტირებული დაფინანსების მიღება. ჯაფარიძემ მაგალითად მოიყვანა საკუთარი პარტია, რომლის დაფინანსებაც დამოკიდებულია მუდმივად მხარდამჭერებზე, და შესაბამისად, პარტიის ლიდერობასაც აქვს მოტივაცია, რომ მუდმივად იაქტიუროს.

კომენტარი გააკეთა, ასევე, პარტია ლელოს წევრმა **ფიქრია ჩიხრაძემ**, რომლის თქმით, ბევრი რამაა ისეთი, რაზეც პარტიები შიდა დისკუსიებს ისედაც მართავენ და პარტია ლელოში ბევრი რამ, რაზეც პანელზე იყო საუბარი, არის ყოველდღიური დისკუსიის საგანი. ფიქრია ჩიხრაძის აზრით, ასეთი კვლევების ნაკლი ისაა, რომ როცა რესპონდენტთან მიდიხარ, მას აქვს პასუხები, რომ მოსწონს პარტიები კარგი პროგრამით, გაწონასწორებული ლიდერით და ა.შ. მაგრამ რეალობა იმასაც გვაჩვენებს, რომ საზოგადოება ორიენტირებულია ძალაზეც და ლიდერზეც. ეს არის ამომრჩევლის ერთგვარი პრაგმატიზმი, რომ ინვესტირება მოახდინოს იმ ძალაში, რომელსაც რაიმეს შეცვლის უნარი აქვს. ჩიხრაძემ გაიხსენა 2012 წლის გამოცდილება,

როდესაც ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ „შუა გაიკრიფა“, რადგან ძლიერი პოლიტიკური ბერკეტების მქონე ძალას დაუპირისპირდება ისევ ის, ვისაც აქვს, ასევე, ბევრი ძალა და შესაბამისი რესურსი, რომ ძალაუფლება აიღოს ხელში. ჩიხრაძის შეფასებით, ეს სქემა შეინარჩუნა „ქართულმა ოცნებამ“, რომ „შუა არ უნდა არსებობდეს“ და პოლიტიკურ სცენაზე უნდა იყვნენ მხოლოდ ნაცები, და ყველა ნაცია, ვინც კი განსხვავებულია. ამ დროს კი ჭირს ყველაფერ იმაზე საუბარი, რასაც წარმოდგენილი კვლევა ეხებოდა. თუმცა, მომხსენებელი დაეთანხმა იმას, რომ პარტიებს თვითიდენტიფიცირება სჭირდებათ, „სულ რომ 10 კაცი კითხულობდეს პროგრამას“. ჩიხრაძის შენიშვნით, ფუნდამენტურ საკითხებზე შეთანხმებებს როგორც არ უნდა უჭერდეს პოლიტიკური სპექტრი მხარს, მაშინ, როცა კონსტიტუციაში არსებობს ჩანაწერი ევროპული არჩევანის შესახებ, ჩვენ ვხედავთ ძალას, რომელიც ღიად ეწინააღმდეგება ამ არჩევანს. ამ დროს უკვე ასეთ ზოგად შეთანხმებებს ეკარგება ძალა. შიდაპარტიული პროცესები, შექმნილი სიტუაცია და ოლიგარქიული მმართველობა სერიოზული პრობლემა და მუხრუჭია საქართველოსთვის. მან ხაზი გაუსვა, რომ დღესაც ხდება იმის ტირაჟირება, რომ ოპოზიცია უშლის ხელს ამ პროცესს; თავად ოპოზიციის პოლარიზება და მედიაში პოლარიზება კი განაპირობებს იმას, რომ ამომრჩევლის მნიშვნელოვან ნაწილს ამ ცუდი ზღაპრების ძალიან სჯერა.

კომენტარის სურვილი გამოთქვა, ასევე, პარტია სტრატეგია აღმაშენებლის წევრმა **თეონა ჭალიძემ**, რომლის მოსაზრებით, დასანანია, რომ ახალგაზრდების ჩართულობაზე აქცენტი იშვიათად კეთდება გენდერული ჭრილში, და რომ მნიშვნელოვანია საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ რამხელა სირთულეს წარმოადგენს ახალგაზრდა ქალებისთვის პოლიტიკური აქტიურობა. მისი მხრიდან, წარმოდგენილი იყო კიდევ ერთი რეკომენდაცია: სტუმარმა მოიხმო ISFED-ის კვლევა, რომლის მიხედვით, ამომრჩევლების 40%-ის წარმოდგენაში შესაძლებელია იმის გაგება, თუ ვინ შემოხაზა მან კაბინაში. მაშინ, როცა ერთი ხმაც კი გადამწყვეტია არჩევნებზე, ეს წარმოდგენა გავლენას ახდენს, თუ რა არჩევანს გააკეთებს მოქალაქე საარჩევნო ყუთთან.

პოლიტიკური პარტიებიდან მოწვეული სტუმრების მხრიდან კომენტარების გაჟღერების შემდეგ შედგა დისკუსია უფრო ფართო აუდიტორიასთან. მსმენელის კომენტარების მიხედვით, გამოიკვეთა მოსაზრება, რომ როდესაც პარტიებს ამგვარი კვლევა წარედგინებათ ხოლმე, ყოველ ჯერზე პარტია ამბობს, რომ მათ უკეთესად იციან, რა უნდა ხალხს. თუმცა,

მაშინაც კი, როდესაც ამომრჩეველს შეიძლება არ ესმოდეს სიტყვა „კოალიციის“ არსი, ის ითხოვს იმ შინაარსს რასაც კოალიცია მოიცავს. აქედან გამომდინარე, ეს მოთხოვნა საზოგადოებაში ნამდვილად არსებობს. ამავდროულად, გაკეთდა კომენტარების იმის შესახებ, რომ აუცილებელია, ამომრჩეველში სამოქალაქო ცნობიერების გაზრდა თუნდაც იმ მიმართულებით, რომ მან სწორად გააპროტესტოს სხვადასხვა პრობლემატური საკითხები. ამის კარგი მაგალითია პროპორციულ სისტემასთან დაკავშირებული ჩავარდნა, რომელიც იმდენად სუსტად გააპროტესტა საზოგადოებამ, რომ ცხადი გახდა, თუ ხალხი ვერ იაზრებს პრობლემას, შესაბამისად ამ პრობლემას ისეთი რეაგირებაც ვერ მოჰყვება, როგორიც საჭიროა. დისკუსიის დროს გამოიკვეთა შეთავაზებები, რომლის მიხედვითაც, კარგი იქნება, ასეთი დოკუმენტები უფრო ფართო გავრცელების საგანი თუ იქნება, რადგან მოსახლეობას სჭირდება პოლიტიკური საკითხების მათთვის გასაგებ ენაზე და ახლობელი წყაროებით გაცნობა. პარტიების შეცდომად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ საკუთარ ამომრჩეველთან ლაპარაკი. ამავდროულად, ხშირად რასაც პარტიები ვერ ხედავენ, სამოქალაქო საზოგადოება ასეთ ნიუანსებს კარგად ჭერს და უთითებს. ან პირიქით, პარტიებისგან ბევრს სწავლობს სამოქალაქო საზოგადოებაც.

დისკუსია და პანელი დახურა მოდერატორმა ფელიქს ჰეტმა, რომლის თქმით, განათლების და ცნობიერების საკითხი ყველგან დგება, სადაც პოლიტიკური დებატია. მისი თქმით, მდგომარეობა ობიექტურად რთულია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა, საბოლოოდ გასაკეთებელი საქმეები და მიზნები ისევ პარტიებზეა დამოკიდებული. პანელზე წარმოდგენილი დოკუმენტიდან ფელიქს ჰეტმა გამოყო შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხი, როგორც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ნიუანსი, რამაც სამომავლოდ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში რეალური პოლიტიკოსების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს იმ სტრატეგიების შემუშავებას, თუ როგორ მიდის პარტია იდეებამდე, როგორ არწმუნებს ის ხალხს, როგორ აშენებს კოალიციას და ა.შ.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

www.gip.ge